



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან“ და „სწავლის
სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და
ბიოტექნოლოგია“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი 17.10.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	21
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	23
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	30

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჩერქეზია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Applied Biosciences and Biotechnology
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოქიმია 0512
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №67, 6.04.2012, აკრედიტებული 2021 წლის 1 ივლისამდე
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სამაგისტრო პროგრამას „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№67, 6.04.2012) მიენიჭა აკრედიტებული პროგრამის სტატუსი, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღია 1.07.2021.

სამაგისტრო პროგრამის მიზნებია სტუდენტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა გამოყენებითი ბიომეცნიერებების ფუნდამენტურ დისციპლინებში, ასევე სპეციალური ცოდნა ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და კვების ბიოტექნოლოგიის მიმართულებით; განავითაროს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიოტექნოლოგიისა და გამოყენებითი ბიომეცნიერებების თანამედროვე მიმართულებების ფარგლებში; მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ პროფესიული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი; განუვითაროს მომავალ სპეციალისტებს სამეცნიერო კვლევის მიმართულებების პრიორიტეტების დასახვისა და შეფასების უნარი; წახალისოს და წინ წამოსწიოს ორგანიზატორული მუშაობისა და კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარები; ხელი შეუწყოს მაგისტრანტების მჭიდრო კავშირს ინდუსტრიასთან – დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოო პრაქტიკის შემოღების გზით.

პროგრამა შედგება 3 კონცენტრაციისგან: კვების ბიოტექნოლოგია, გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია და ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია.

პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS), აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 85 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტს, ხოლო 5 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საწარმოო პრაქტიკას, რომელიც ხორციელდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარტნიორ ორგანიზაციაში. პროგრამის სტუდენტები კვლევით კომპონენტს ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ანგარიში მომზადდა მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ანგარიშის ფარგლებში მოხდა 3 სტანდარტის შესასება:

1 სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2 სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

4 სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, რომ „უნარის“ ნაწილში პროგრამის შედეგების აღწერისას გამოყენებული იყოს აქტიური ზმნები (მაგალითად: „განსაზღვრავს“, „გეგმავს“, „ახდენს“, „აყალიბებს“, „არჩევს და იყენებს“).
- რეკომენდებულია გადაიხედოს/ სილაბუსებთან თანხვედრაში მოყვანილ იქნას სასწავლო გეგმაში მოცემული სასწავლო კურსების წინაპირობები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იყოს სწავლის წარმართვის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, როგორც ამას კვალიფიკაციის მე-7 დონე მოითხოვს.
- სასურველია სახელწოდება „ჯენომიქსი“-ს ან როგორც ეს პროგრამის კურიკულუმშია მოცემული, „გენომიქსი“-ს ნაცვლად, გამოყენებული იყოს დისციპლინის მიღებული სახელწოდება „გენომიკა“.
- სასურველია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება.
- სასურველია პროგრამაში ქმედებაზე ორიენტირებული, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა/დასწავლის მეთოდების, ასევე გონებრივი იერიშის მეთოდის ჩართვა.
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა იზრუნოს აკადემიური კადრების უფრო აქტიურ ჩართულობაზე სამეცნიერო კონფერენციებში/ვორკშოპებში/ტრენინგებში და სხვა სახის აქტივობებში, რომლებიც ემსახურება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ამაღლებას.
- სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის გაზრდის ადეკვატურად მოხდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა, რათა ერთ პროფესორს არ მოუწიოს ბევრი ნაშრომის ხელმძღვანელობა, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ხარისხზე.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ანგარიშის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის და თანდართული დამატებითი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

დაწესებულება დაეთანხმა ანგარიშის პროექტში მოცემულ ორ რეკომენდაციას და ერთ რჩევას, და უკვე განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

ანგარიშის პროექტში გაცემული რჩევა: „სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის გაზრდის ადეკვატურად მოხდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა, რათა ერთ პროფესორს არ მოუწიოს ბევრი ნაშრომის ხელმძღვანელობა, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ხარისხზე“, ძალაში რჩება მიუხედავად მოწოდებული დამატებითი დოკუმენტაციისა (აკადემიური პერსონალის რაოდენობა (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების მითითებით), მაგისტრების რაოდენობა და თანაფარდობა (2021 წლიდან 2023-2024 სასწავლო წლის ჩათვლით), რადგან მისი გაცნობა ექსპერტების ჯგუფისთვის მხოლოდ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სათაური და მისანიჭებელი კვალიფიკაცია გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მაგისტრი (Master in Applied Biosciences and Biotechnology) შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან (ბიოქიმია 0512).

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სწავლის საფეხურთან (მე-7 დონე) და ითვალისწინებს სწავლის შესაბამის სფეროს. კერძოდ, პროგრამის მიზნებია: მაგისტრანტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა გამოყენებითი ბიომეცნიერებების როგორც ფუნდამენტურ დისციპლინებში (ბიოტექნოლოგიის მიღწევები, ჯენომიკა, მიკრობული ტექნოლოგიები, ტოქსიკოლოგიის მიღწევები, ბიოუსაფრთხოების პრინციპები, ბიოტექნოლოგიის საკანონმდებლო, ეთიკური და კომერციული ასპექტები), ასევე სპეციალური ცოდნა ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და კვების ბიოტექნოლოგიის მიმართულებით; განავითაროს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიოტექნოლოგიისა და გამოყენებითი ბიომეცნიერებების თანამედროვე მიმართულებების ფარგლებში, რომლებიც დაეხმარება მათ გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში, იმოქმედონ ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში; განუვითაროს მომავალ სპეციალისტს სამეცნიერო კვლევის მიმართულებების პრიორიტეტების დასახვისა და შეფასების უნარი; წაახალისოს და წინ წამოსწიოს ორგანიზატორული მუშაობისა და კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარები; ხელი შეუწყოს მაგისტრანტების მჭიდრო კავშირს ინდუსტრიასთან – დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოო პრაქტიკის შემოღების გზით; მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ პროფესიული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, მათ შორის: რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი, რომელშიც განისაზღვრება ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხოურ ენაზე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ინდუსტრიასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, რაც მეტად აქტუალურია გამოყენებითი ხასიათის

დისციპლინების სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის სფეროში უახლესი ტენდენციების გათვალისწინების და ინდუსტრიის მიერ მოთხოვნილი თეორიული თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით. ამავე დროს სასურველია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იყოს სწავლის წარმართვის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, როგორც ამას კვალიფიკაციის მე-7 დონე მოითხოვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის აღწერა
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იყოს სწავლის წარმართვის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, როგორც ამას კვალიფიკაციის მე-7 დონე მოითხოვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შედეგები დაჯგუფებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით. პროგრამის აღწერილობაში ჩამოყალიბებულია როგორც პროგრამის საერთო, ასევე პროგრამის ყოველი კონცენტრაციის სწავლის შედეგები (სულ ცხრა შედეგი). კერძოდ, პროგრამის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახდენს ბიომეცნიერებების გამოყენებით დისციპლინებში: კვლევის დაგეგმა და მეთოდოლოგია; ინტელექტუალური საკუთრება, ბიოტექნოლოგიის საკანონმდებლო, ეთიკური და კომერციული ასპექტები მიღებული ცოდნის დემონსტრირებას.
- ახდენს გამოყენებითი ბიომეცნიერებების ფუნდამენტური დისციპლინების: ჯენომიკა; ბიოტექნოლოგიის მიღწევები; გამოყენებითი ტოქსიკოლოგია; მიკრობული ტექნოლოგიები; ბიოუსაფრთხოების პრინციპები ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას.

კონცენტრაცია - ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია

განიხილავს ჯანდაცვის ბიოტექნოლოგიის ძირითად საკითხებს სამედიცინო მიკრობიოლოგიის, კლინიკური ფიზიოლოგიისა და იმუნოლოგიის მიმართულებით

კონცენტრაცია - გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია

განიხილავს ბიოტექნოლოგიების გამოყენებით გლობალური ეკოლოგიური, გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს.

კონცენტრაცია - კვების ბიოტექნოლოგია

განიხილავს საკვები პროდუქტების ქიმიურ შედგენილობას, მის წარმოებასა და გაფუჭებაში მონაწილე მიკროორგანიზმებს და სურსათის უსაფრთხოების საკითხებს.

უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გამოყენებით ბიომეცნიერებებში მიღებული ცოდნის საფუძველზე ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში პრობლემის იდენტიფიკაცია და მისი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა.
- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის საქმიანობის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მიხედვით.
- სამაგისტრო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის დაგეგმვა და განხორციელება, დაწერა, გაფორმება და წარდგენა.
- ბიოტექნოლოგიებში ინფორმაციის შეგროვება, მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და მიწოდება აუდიტორიისათვის.

კონცენტრაცია - ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია

სამედიცინო მიკრობიოლოგიაში, კლინიკურ ფიზიოლოგიასა და იმუნოლოგიაში გამოყენებადი ტექნოლოგიების და კვლევის მეთოდების ფლობის უნარის დემონსტრირება.

კონცენტრაცია - გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია

გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის ეფექტური და ეკოლოგიურად გამართლებული ბიოტექნოლოგიური მეთოდების შერჩევა და გამოყენება.

კონცენტრაცია - კვების ბიოტექნოლოგია

საკვები პროდუქტების შემადგენლობის, ვარგისიანობის, უსაფრთხოებისა და ხარისხის შემოწმება სტანდარტული ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- იღებს პასუხისმგებლობას თავის ქმედებებზე, იცავს პროფესიულ და ეთიკის სტანდარტებს.

რეკომენდებულია, რომ „უნარის“ ნაწილში პროგრამის შედეგების აღწერისას გამოყენებული იყოს აქტიური ზმნები (მაგალითად: „განსაზღვრავს“, „გეგმავს“, „ახდენს“, „აყალიბებს“, „არჩევს და იყენებს“).

უნდა აღინიშნოს, რომ გაზიარებული არგუმენტირებული პოზიციის თანახმად დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია გაიზიარა და ანგარიშის პროექტის გაცნობის შემდეგ პროგრამის კურიკულუმში შესაბამისი ცვლილებები განახორციელა.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის კურსების გნორციელების შედეგად მიღწეული შედეგების შესრულების ხარისხის შეფასება უმეტესად P ან M-ია. კონკრეტული კურსი საშუალოდ 3-4 ან მეტ შედეგზე გადის. არჩევით კურსებში გაწერილი შედეგები ნაწილობრივ გადაფარვადია ან სავალდებულო კურსებით ივსება, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი არჩევითი კურსის აღებისას სტუდენტები ერთსა და იგივე შედეგებზე გადიან.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სწავლის შედეგები კონკრეტული და მიღწევადია.

პროგრამის შეეგები კავშირშია პროგრამის მიზნებთან, რაც ნათლად ჩანს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკაზე (თანდართული დოკუმენტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის აღწერა
- სილაბუსები
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ „უნარის“ ნაწილში პროგრამის შედეგების აღწერისას გამოყენებული იყოს აქტიური ზმნები (მაგალითად: „განსაზღვრავს“, „გვემავს“, „ახდენს“, „აყალიბებს“, „არჩევს და იყენებს“).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეროვებასა და ანალიზს.
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №5, (17/18) 15.09. 2017 განსაზღვრული პრინციპებით.

პროგრამის აღწერილობის და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სასწავლო კომპონენტის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება სტანდარტული 100 ქულიანი შეფასების სქემა. შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს არანაკლებ 18 ქულას. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საწარმოო პრაქტიკის შეფასების მეთოდებია პრაქტიკის დღიურის წარმოება (მაქსიმუმ 30 ქულა), აქტიურობა პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას და შესრულებული სამუშაოს დემონსტრირება (მაქსიმუმ 30 ქულა), პრაქტიკის ანგარიში (მაქსიმუმ 40 ქულა). პრაქტიკის დასრულებისას ხდება პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია, შეფასების წესები და კრიტერიუმები აღწერილია შესაბამის სილაბუსში.

მოწოდებული დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას შევაფასოთ, თუ რამდენად გამოიყენება სწავლის შედეგების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის აღწერა
- სილაბუსები
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ-ში შემუშავებული და დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რაც გათვალისწინებულია პროგრამის შედგენისას.

პროგრამის და სილაბუსების სტრუქტურა შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ერთიან წესს.

პროგრამა განთავსებული ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS; 1 ECTS = 25 სამუშაო საათი) (60 კრედიტი წელიწადში ან 30 კრედიტი სემესტრში).

პროგრამა შედგება 3 კონცენტრაციისგან: კვების ბიოტექნოლოგია, გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია და ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია. 60 კრედიტი საერთო სავალდებულოა ყველა კონცენტრაციისთვის; 60 კრედიტი განკუთვნილია კონცენტრაციისთვის, რომელიც ნაწილდება შემდეგი სახით: 15 კრედიტი კონცენტრაციის სავალდებულო კურსები (მათ შორის საწარმოო პრაქტიკა (5 კრედიტი)), 15 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი.

პროგრამის სტუდენტები კვლევით კომპონენტს ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები გადანაწილებულია სწავლის 3 სემესტრზე (I სემესტრი - 30 კრედიტი, II სემესტრი - 20 კრედიტი, III სემესტრი - 10 კრედიტი), შესაბამისად პროგრესულად იზრდება აჩევითი კომპონენტის მოცულობა. კონცენტრაციის საგნების არჩევა სწავლების II სემესტრიდან ხდება. თითოეული კონცენტრაცია მოიცავს კონცენტრაციისთვის სავალდებულო სასწავლო კურსებს (45

კრედიტი, აქდან 5 კრედიტი საწარმოო პრაქტიკას, ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომს ენიჭება) და არჩევით კურსებს (15 კრედიტი). თითოეული კონცენტრაცია სტუდენტ სთავაზობს არჩევანს 5 არჩევითი სასწავლო კურსიდან, საიდანაც სტუდენტი ირჩევს 2 ან 3 კურსს. საწარმოო პრაქტიკას სტუდენტები გადიან III სემესტრში პარტნიორ ორგანიზაციაში, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება/მემორანდუმი. სასწავლო პროგრამის IV სემესტრი მთლიანად ეთმობა სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობასა და თეზისის დაცვას.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რა პრინციპით არის განსაზღვრული სასწავლო კურსის წინაპირობები. ასე მაგალითად, პროგრამის თანდართული სასწავლო გეგმის მიხედვით გამოყენებითი ტოქსიკოლოგიის კურსის წინაპირობად განსაზღვრულია კურსი „ კვლევის დაგეგმვა და მეთოდოლოგია“ (ამავე დროს სილაბუსში წინაპირობად მითითებულია კურსი „თანამედროვე ბიომეცნიერებების მიღწევები“); კურსის “ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ბიოტექნოლოგიის საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპები“ წინაპირობაა კურსი „მეცნიერება გენომის შესახებ (გენომიკა)“. აქვე აღსანიშნავია, რომ სასურველია სახელწოდება „ჯენომიქსი“-ს ან როგორც ეს პროგრამის კურიკულუმშია მოცემული „გენომიქსი“-ს ნაცვლად გამოყენებული იყოს დისციპლინის მიღებული სახელწოდება „გენომიკა“. ბიოუსაფრთხოების კურსის წინაპირობაა გამოყენებითი ტოქსიკოლოგია. რეკომენდებულია გადაიხედოს/ სილაბუსებთან თანხვედრაში მოყვანილ იქნას სასწავლო გეგმაში მოცემული სასწავლო კურსების წინაპირობები.

ხაზგასასმელია ის, რომ ამ შემთხვევაშიც გაზიარებული არგუმენტირებული პოზიციის თანახმად დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია ანგარიშის პროექტის გაცნობის შემდეგ და სასწავლო გეგმაში შესაბამისი ცვლილებები უკვე განახორციელა. ასევე გათვალისწინებული იქნა რჩევა სახელწოდების „ჯენომიკსი“ („გენომიქსი“) შეცვლა სახელწოდებით „გენომიკა“.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღებას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. განსაკუთრებით მისასაღმებელია სტუდენტების მიერ სავალდებულო საწარმოო პრაქტიკის გავლა უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში. ასევე აღსანიშნავია პროგრამაში სამი კონცენტრაციის გამოყოფა, რაც შეესაბამება ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის თანამედროვე ტენდენციებს და ასევე მრავალფეროვანი, სტუდენტების სხვადასხვა ინტერესის დასაკმაყოფილებლად მიმართული არჩევითი კურსების ჩამონათვალი.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებები არ განხორციელებულა, გამონაკლისია ქვეპროგრამების „ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია“, „გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია“ და „კვების ბიოტექნოლოგია“ კონცენტრაციებად განსაზღვრა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის აღწერა
- სილაბუსები
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს/ სილაბუსებთან თანხვედრაში მოყვანილ იქნას სასწავლო გეგმაში მოცემული სასწავლო კურსების წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სახელწოდება „ჯენომიქსი“-ს ან როგორც ეს პროგრამის კურიკულუმშია მოცემული „გენომიქსი“-ს ნაცვლად გამოყენებული იყოს დისციპლინის მიღებული სახელწოდება „გენომიკა“.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ყველა სასწავლო კურსი საწარმოო პრაქტიკის ჩათვლით მოიცავს 5 ან 10 კრედიტს. საკონტაქტო საათების განაწილება განსხვავებულია და შეესაბამება კონკრეტული კურსის შინაარსს. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოში მოცემული სამი კომპონენტის („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“) მიხედვით. სწავლის შედეგები უმეტეს შემთხვევაში („უნარის“ კომპონენტის გამონაკლისით) ფორმულირებულია აწმყო დროში, აქტიური ზმნების გამოყენებით.

მთლიანობაში სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უმეტესწილად შედარებით ახალი გამოცემებითაა წარმოდგენილი, თუმცა ბიოტექნოლოგიების სწრაფი განვითარების და სახელმძღვანელოების ხშირი განახლების / ახალი სახელმძღვანელოების გამოშვების გათვალისწინებით, სასურველია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება.

შეფასების ფარგლებში შეუძლებელია დადგენა თუ რამდენად მისაწვდომია ლიტერატურა და რამდენად შესაბამისია მითითებული კოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის აღწერა
- სილაბუსები
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის აღწერილობის მიხედვით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, ბიოლოგია, ეკოლოგია და მონათესავე მეცნიერებები) ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტი.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება
- სპეციალობაში (ბიოლოგია) შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება

სპეციალობაში გამოცდა ითვალისწინებს აპლიკანტის მიერ ბიოლოგიაში ფართო ცოდნის ფლობის დონის შემოწმებას. გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში ტესტირებით და საგამოცდო დავალება შედგება 100 დახურული ტიპის შეკითხვისგან.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიგა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისას და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ დადგენილება (№12(17/18)). პროგრამაზე მიიღებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

ამრიგად, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის აღწერა
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ყველა სტუდენტის ჩართულობას კვლევით აქტივობებში. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ინგლისური ენის შესწავლის ორ კურსს: „დარგობრივი უცხო ენა1“ და „დარგობრივი უცხო ენა 2“.

